პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 21 მარტი, 1946 წ. № 59 (7532). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. მოწინავე (1-ლი გვერდი).

დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირსა და შვეიცარიას შორის. (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები (1-ლი და მე-2 გვერდები).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები: სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ნ. ა. ვოზნესენსკის საბოლოო სიტყვა; დეპუტატ ა. ა. კუზნეცოვის სიტყვა; კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოში. (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდი).

გავაჩაღოთ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება (მე-4 გვერდი).

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

საბჭოთა ხალხი უდიდესი შრომითი აღმავლობით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას.

სესიის მუშაობის დღეები აღინიშნა ახალი საწარმოო გამარჯვებებით მთელს სახალხო მეურნეობაში. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია თავიანთი პატრიოტული შრომის ნაყოფს უძღვნიან დედა-სამშობლოს, მის შემდგომ გაძლიერებას და აყვავებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ განიხილა მთავრობის მიერ წარდგენილი ხუთწლიანი გეგმა 1946-1950 წლებისათვის. ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ამ სტალინური გეგმის განხილვამ გვიჩვენა დეპუტატების სრული ერთსულოვნება, რაც მთელი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის მკაფიო გამოხატულებაა.

მეოთხე სტალინური ხუთწლედის ძირითადი ამოცანები განსაზღვრა ამხანაგმა **სტალინმა** თავის ისტორიულ სიტყვაში მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინააარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს. ეს გეგმა ითვალისწინებს როგორც ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონების, მათი მრეწველობისა და კოფლის მეურნეობის აღდგენას, ისე მთელი სახალხო მეურნეობის ომამდელი დონის მნიშვნელოვანი ოდენობით გადაჭარბებას, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას და მეცნიერების ახალ მძლავრ აღმავლობას.

დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს სესიის განსახილველად წარდგენილი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა. ეს გეგმა მოიწონა მთელმა საბჭოთა ხალხმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ დაამტკიცა კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ორივე პალატამ ცალ-ცალკე ერთხმად მიიღო დადგენილება—უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მიერ შეტანილი წინადადებანი კაპიტალური მშენებლობისათვის დამატებითი ასიგნობების შესახებ განსახილველად გადაეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

ამგვარად, მეოთხე სტალინური ხუთწლედი უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული და დამტკიცებულია.

მეოთხე სტალინური ხუთწლედი დაასაწყისია იმ გრანდიოზული პროგრამის პრაქტიკული განხორციელებისა, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დასახა მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე 15 წლისათვის. ხუთმეტი წლის განმავლობაში ომამდელთან შედარებით ერთიანად უნდა ავამაღლოთ ჩვენი მრეწველობის დონე. ასე სთქვა ამხანაგმა სტალინმა, ხოლო ის, რასაც ბელადი ამბობს, ყოველთვის ხორციელდება.

დიადი სტალინური გეგმის განხორციელება საბჭოთა ხალხისაგან მოითხოვს ენერგიის ახალ დაძაბვას, ახალ შრომით გმირობას. ჩვენი ქვეყნის მშრომელები მზად არიან ამისათვის. ტრადიციული საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ამჟამად ჩაღდება, ამის ერთ-ერთი მკაფიო დამადასტურებელია.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ დიმიტროვის სახელობის „წითელი ვარსკვლავის“ ორდენოსანი ქარხნის და თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივების მიმართვას საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივებისადმი საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ქარხნების ამ ინიციატივას, უეჭველია, ერთსულოვნად დაუჭერენ ძმარა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები. ეს მისაბაძი თაოსნობა ახალი შრომითი მამაცობისათვის აღფრთოვანებს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის სტახანოველებს, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტებს, რომლებიც შთაგონებული არიან მაღალი მისწრაფებით—არ დაიშურონ ძალა, ენერგია, გამოცდილება, უნარი დედა-სამშობლოს ძლიერებისა განმტკიცებისათვის.

დიმიტროვის სახელობის „წითელი ვარსკვლავის“ ორდენოსანი ქარხნის კოლექტივი თავის მიმართვაში აწერს, რომ ძირითადი პროდუქციის გამოშვებია ოთხი თვის გეგმაზე შეასრულებს სულ ცოტა 105 პროცენტით, თვითეულ ცალ ნაწარმზე შრომატევადობას შეამცირებს 8 პროცენტით, მარტსა და აპრილში დაზოგავს 40 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას, სტახანოვურ კოლონებსა და ტექნიკური მინიმუმის წრეებში, აგრეთვე ინდივიდუალური აწავლებით პირველ მაისამდე მოამზადებს 330 კაცს, ააგებს ახალ კოტეჯებს მუშა-მოსამსახურეებისათვის, დაამთავრებს საქარხნო ტერიტორიის გამწვანებას, 100 ჰექტარით გაადიდებს დამხმარე მეურნეობის სათეს ფართობს, ქარხნის კოლექტივისათვის დაამზადებს ნახევარი მილიონი მანეთის ფართო მოხმარების საქონელს!

ასეთივე დიდმნიშვნელოვანი ვალდებულებანი იკისრეს თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა.

უაღრესად კეთილშობილური და პატრიოტული მიზნები ამოძრავებთ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებს. მათ თაოსნობამ მხარი უნდა დაუჭიროს როგორც მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებმა, ისე საკოლმეურნეო სოფელმა, სადაც ამჟამად საფუძველი ეყრება 1946 წლის უხვ მოსავალს.

გავაჩაღოთ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება!

დიდი **სტალინის** მიერ დასახულ ისტორიულ ამოცანათა შესასრულებლად მობილიზაცია ვუყოთ მთელს ჩვენ ძალებს და მივაღწიოთ ახალ გამარჯვებებს!

დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირსა და შვეიცარიას შორის

საბჭოთა მთავრობამ მიიღო შვეიცარიის მთავრობის წინადადება დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შეახებ. 18 მარტს ბელგრადში მოხდა ამ საკითხზე ნოტების გაცვლა იუგოსლავიაში შვეიცარიის დესპან ბ-ნ ე. ცელვეგერსა და იუგოსლავიაში სსრ კავშირის საქმეთა დროებით რწმუნებულ ნ. ა. კოტევნიკოვს შორის.

შვეიცარიის დესპანმა იუგოსლავიაში ბ-ნმა ე. ცელვეგერმა ნ. ა. კოტევნიკოვს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც მან, შვეიცარიის ფედერალური საბჭოს მთავრობის დავალებით, შემდეგი განცხადება გააკეთა:

„გასული წლის მანძილზე სხვადასხვა ღონისძიებებითა და ნაბიჯებით ფედერალურმა საბჭომ ცხადჰყო, რომ მას აურს მოაგვაროს სსრ კავშირთან გადაუწყვეტელი საკითხები. მიწვევით, რაც აბჭოთა მთავრობას გაეგზავნა და რაც მან მიიღო, შვეიცარიაში სამხედრო დელეგაციის გაგზავნის შესახებ, ფედერალურმა საბჭომ ცხადჰყო, რომ მან შესცვალა თავისი წინანდელი დამოკიდებულება იმდენად, რამდენადაც იგი არაშეგობრული იყო სსრ კავშირის მიმართ. მან აგრეთვე დადებითი აქტებით ცხადჰყო, რომ აღფრთოვანებულია სურვილით ბოლო მოუღოს წინათ არსებულ მდგომარეობას და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს საბჭოთა მთავრობასთან.

ფედერალური საბჭო, დიდ სინანულს გამოსთქვამს რა იმ გარემოებათა გამო, რომლებმაც ხელი შეუშალეს ორ ქვეყნას შორის დიპლომატიური ურთიერთობის უფრო ადრე დამყარებას, წინადადებით მიმართავს საბჭოთა მთავრობას აღდგენილ იქნას დიპლომატიური ურთიერთობა და მოხდეს ორივე ქვეყნის მთავრობებთან აკრედიტებული მინისტრების დანიშვნა“.

თავის საპასუხო ნოტაში სსრ კავშირის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა იუგოსლავიაში ნ. ა. კოტევნიკოვმა დაადასტურა შვეიცარიის მთავრობის ხსენებული ნოტის მიღება და აცნობა, რომ საბჭოთა მთავრობა ცნობად იღებს შვეიცარიის მთავრობის ზემოთ მოყვანილ განცხადებას და თავის მხრივ თანხმობას გამოსთქვამს აღდგენილ იქნას დიპლომატიური ურთიერთობა შვეიცარიასთან და მოხდეს დესპანთა გაცვლა. (საკ-დესი).

საკრესის ცნობა

საბჭოთა კავშირისა და დანიის მთავრობებს შორის შეთანხმებით დაიწყო აბჭოთა სამხედრო ნაწილების ევაკუაცია კუნძულ ბორნჰოლმიდან. ევაკუაცია ერთ თვეში დამთავრდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

კანონი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რიცხოვრივი შემადგენლობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მისი 16 მოადგილე, პრეზიდიუმის მდივანი და პრეზიდიუმის 15 წევრი.

შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება სსრ კავშირის კონსტიტუციის 48 მუხლში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 19 მარტი.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე:

ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი — დეპუტატი რსფს რესპუბლიკის ავერდლოვსკის საარჩევნო ოლქისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები:

მიხეილ სერგის-ძე გრეჩუხა — დეპუტატი უკრაინის სს რესპუბლიკის ტარნოპოლის ოლქის ბერეჟანის საარჩევნო ოლქისაგან.

ნიკიფორე იაკობის-ძე ნატალევიჩი — დეპუტატი ბელორუსიის სს რესპუბლიკის ბობრუისკის ოლქის სლუცკის საარჩევნო ოლქისაგან.

აბდუვალი მუმინოვი — დეპუტატი უზბეკეთის სს რესპუბლიკის ნამანგანის აასოფლო ოლქისაგან.

აბდისამეტ კაზაკაევი — დეპუტატი ყაზახეთის სს რესპუბლიკის აკმოლინსკის ოლქისაგან.

გიორგი თევდორეს-ძე სტურუა — დეპუტატი საქართველოს სს რესპუბლიკის აამტრედიის ოლქისაგან.

მირ ბაშირ ფატახ-ოღლი კასუმოვი — დეპუტატი აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის საბირაბადის ოლქისაგან.

იუსტას იგნის-ძე პალეციკისი — დეპუტატი ლიტვის სს რესპუბლიკის პანევეჟის ოლქისაგან.

თევდორე გრიგოლის-ძე ბროვკო — დეპუტატი მოლდავეთის სს რესპუბლიკის ედინეცის ოლქისაგან.

აუგუსტ მარტინის-ძე კირხენშტეინი — დეპუტატი ლატვიის სს რესპუბლიკის ცესის ოლქისაგან.

ტორობაი კულატოვი — დეპუტატი ყირგიზეთის სს რესპუბლიკის უზგენის ოლქისაგან.

მინოვარ შაგადაევი — დეპუტატი ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის გარმის ოლქისაგან.

მაცაკ პეტროსის-ძე პაპიანი — დეპუტატი სომხეთის სს რესპუბლიკის სტეპანავანის ოლქისაგან.

ალაბერდი ბერდიევი — დეპუტატი თურქმენეთის სს რესპუბლიკის კაგანოვიჩის ოლქისაგან.

იოჰანეს იაკის-ძე ვარესი — დეპუტატი ესტონეთის სს რესპუბლიკის პიარნუს ოლქისაგან.

ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი — დეპუტატი კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კუორიოკის ოლქისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი:

ალექსანდრე თევდორეს-ძე გორკინი — დეპუტატი ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის კანაშის ოლქისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები:

მირ ჯაფარ აბასის-ძე ბაგიროვი—დეპუტატი აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ბაქოს სტალინის ოლქისაგან.

სიმონ მიხეილის-ძე ბუდიონი — დეპუტატი უკრაინის სს რესპუბლიკის კამენეც-პოდოლსკის ოლქის შეპეტოვკის საარჩევნო ოლქისაგან.

ნიკოლოზ ივანეს-ძე გუსაროვი — დეპუტატი მოლოტოვის ოლქის სტალინის საარჩევნო ოლქისაგან.

გალეი აფზალეტდინის-ძე დინმუხამეტოვი — დეპუტატი თათრეთის ასს რესპუბლიკის ნოვოშემშინსკის ოლქისაგან.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინი — დეპუტატი რსფს რესპუბლიკის ლენინგრადის საქალაქო ოლქისაგან.

დემიან სერგის-ძე კოროტჩენკო — დეპუტატი უკრაინის სს რესპუბლიკის დნეპროპეტროვსკის ოლქის ამურ-ნიჟნედნეპროვსკის საარჩევნო ოლქისაგან.

ოლგა ანტონის-ასული ლაურისტინი — დეპუტატი ესტონეთის სს რესპუბლიკის ხარიუს აღმოსავლეთი ოლქისაგან.

გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი — დეპუტატი ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის ოლქისაგან.

გილმან ვილდანის-ძე ნიგმაჯანოვი — დეპუტატი ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის ბელებეის ოლქისაგან.

პეტრე სერგის-ძე პოპკოვი — დეპუტატი ქალაქ ლენინგრადის ფრუნზეს ოლქისაგან.

გიორგი მიხეილის-ძე პოპოვი — დეპუტატი ქალაქ მოსკოვის კიროვის ოლქისაგან.

ადილ გირეი ტახტაროვი — დეპუტატი დაღისტნის ასს რესპუბლიკის მაჰაჩყალის საქალაქო ოლქისაგან.

ევდოკია ილიას-ასული ურალოვა — დეპუტატი ბელორუსიის სს რესპუბლიკის გომელის ოლქისაგან.

მათე თევდორეს-ძე შკირიატოვი — დეპუტატი რსფს რესპუბლიკის ტულა-რიაზანის ოლქისაგან.

უსმან იუსუპის-ძე იუსუპოვი — დეპუტატი უზბეკეთის სს რესპუბლიკის ტაშკენტის სტალინის ოლქისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 19 მარტი.

კანონი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდ და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებად გარდაქმნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. გარდაიქმნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდ და სსრ კავშირის სახალხო კომისარიატები — სსრ კავშირის სამინისტროებად. ამის შესაბამისად ამიერიდან სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ეწოდოს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და სსრ კავშირის სახალხო კომისრებს — სსრ კავშირის მინიტრები.

2. გარდაიქმნას მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებად და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისარიატები — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებად. ამის შესაბამისად ამიერიდან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს ეწოდოთ — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეების მოადგილეებს — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარის მოადგილეები და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისრებს — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრები.

3. შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებები სსრ კავშირის კონსტიტუციის სათანადო მუხლებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 15 მარტი.

სსრ კავშირის მთავრობის—სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შექმნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას სსრ კავშირის მთავრობა—სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შეიარაღებული ძალების მინიტრი — **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი — **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—**ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — **ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დასაგარეო ვაჭრობის მინისტრი — **ანასტას ივანეს-ძე მიკოიანი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — **ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე — **ნიკოლოზ ალექსის-ძე ვოზნესენსკი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—**კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სამშენებლო მასალათა მრეწველობის მინისტრი — **ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი.**

გზათა მინისტრი — **ივანე ვლადიმერის-ძე კოვალიოვი.**

კავშირგაბმულობის მინისტრი — **კონსტანტინე იაკობის-ძე სერგეიჩუკი.**

საზღვაო ფლოტის მინისტრი — **პეტრე პეტრეს-ძე შირშოვი.**

სამდინარო ფლოტის მინისტრი — **ზოსიმე ალექსის-ძე შაშკოვი.**

დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი—**დიმიტრი გრიგოლის-ძე ონიკა.**

აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი—**ვასილ ვასილის-ძე ვახრუშევი.**

სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის მინისტრი — **ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე ბაიბაკოვი.**

აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის მინისტრი — **მიხეილ ანდრიას-ძე ევსეევკო.**

ელექტროსადგურების მინისტრი — **დიმიტრი გიორგის-ძე ჟიმერინი.**

ელექტრომრეწველობის მინისტრი — **ივანე გრიგოლის-ძე კაბანოვი.**

შავი მეტალურგიის მინისტრი — **ივანე ტევადროსის-ძე თევოსიანი.**

ფერადი მეტალურგიის მინისტრი — **პეტრე თადეოზის-ძე ლომაკო.**

ქიმიური მრეწველობის მინისტრი — **მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი.**

საავიაციო მრეწველობის მინისტრი — **მიხეილ ვასილის-ძე ხრუნიჩევი.**

გემთმშენებელი მრეწველობის მინისტრი — **ალექსი ადამის-ძე გორეგლიადი.**

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრი — **ბორის ლევის-ძე ვანიკოვი.**

შეიარაღების მინისტრი — **დიმიტრი თევდორეს-ძე უსტინოვი.**

მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრი — **ნიკოლოზ სტეფანეს-ძე კაზაკოვი.**

საავტომობილო მრეწველობის მინისტრი — **სტეფანე აკოფის-ძე აკოფოვი.**

მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მინისტრი—**პეტრე ივანეს-ძე პარშინი.**

დამზადებათა მინისტრი — **ბორის ალექსანდრეს-ძე დვინსკი.**

მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის მინისტრი — **პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინი.**

სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის მინისტრი — **სიმონ ზაქარიას-ძე გინზბურგი.**

ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის მინისტრი — **გიორგი მიხეილის-ძე ორლოვი.**

რეზინის მრეწველობის მინისტრი — **ტიხონ ბორისის-ძე მიტროხინი.**

დაზგათმშენებლობის მინისტრი — **ალექსანდრე ილარიონის-ძე ეფრემოვი.**

სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრი — **ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე მალიშევი.**

სათბობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრი — **ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ზადემიდკო.**

სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის მინისტრი — **კონსტანტინე მიხეილის-ძე სოკოლოვი.**

კვების მრეწველობის მინისტრი — **ვასილ პეტრეს-ძე ზოტოვი.**

თევზის მრეწველობის მინისტრი — **ალექსანდრე აკიმის-ძე იშკოვი.**

ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი — **პავლე ვასილის-ძე სმირნოვი.**

მსუბუქი მრეწველობის მინისტრი — **სერგი გიორგის-ძე ლუკინი.**

საფეიქრო მრეწველობის მინისტრი — **ივანე კორნეის-ძე სედინი.**

სატყეო მრეწველობის მინისტრი — **მიხეილ ივანეს-ძე სალტიკოვი.**

მიწათმოქმედების მინისტრი — **ივანე ალექსანდრეს-ძე ბენედიქტოვი.**

ფინანსთა მინისტრი — **არსენ გრიგოლის-ძე ზვერევი.**

ვაჭრობის მინისტრი — **ალექსანდრე ვასილის-ძე ლიუბიმოვი.**

შინაგან საქმეთა მინისტრი — **სერგი ნიკიფორეს-ძე კრუგლოვი.**

სახელმწიფო უშიშროების მინისტრი — **ვსევოლოდ ნიკოლოზის-ძე მერკულოვი.**

იუსტიციის მინისტრი — **ნიკოლოზ მიხეილის-ძე რიჩკოვი.**

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — **გიორგი ანდრიას-ძე მიტერევი.**

სახელმწიფო კონტროლის მინისტრი — **ლევ ზაქარიას-ძე მეხლისი.**

ტექნიკური კულტურების მინისტრი — **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე სკვორცოვი.**

კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე — **ივანე გრიგოლის-ძე ბოლშაკოვი.**

ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე — **მიხეილ ბორისის-ძე ხრაპჩენკო.**

უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე — **სერგი ვასილის-ძე კაფტანოვი.**

სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარე — **იაკობ ილიას-ძე გოლევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 19 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი სასამართლო შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

ივანე ტერენტის-ძე გოლიაკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრები:

ნისახონ აბდურახმანოვა, უსმან აბდურახმანოვი, პეტრე ვასილის-ძე აბრამოვი, ივანე ტიმოთეს-ძე აქსიონოვი, ივანე ივანეს-ძე ალიოხინი, ზინაიდა ალექსის-ასული ანდრეევა-პრავოლამსკაია, ივანე ვასილის-ძე ანიპჩენკო, არსენ ვარდანის-ძე არუთინიანი, აბდულ ახად ყარა-ოღლი ახადოვი, იურგის ბლიეკა, მიხეილ ალექსის-ძე ბოიარკინი, ალექსი ალექსის-ძე ბულენკოვი, ივანე იაკობის-ძე გოლევი, იან მიხეილის-ძე გრინბერგი, სტეფანე მაკარის-ძე გრიშინი, ანდრია გრიგოლის-ძე გუსევი, გიორგი ნიკოლოზის-ძე დანილოვი, ივანე ვასილის-ძე დეტისტოვი, ლეონიდე დიმიტრის-ძე დმიტრიევი, არკადი ალექსანდრეს-ძე დობროვოლსკი, სერგი დიმიტრის-ძე დრინშევი, ბიაშიმ დურდიევი, ივანე მიხეის-ძე ზარიანოვი, ნატალია მიხეილის-ასული ივანოვა, მიხეილ მიხეილის-ძე ისაევი, პეტრე ალექსის-ძე კამერონი, თევდორე თევდორეს-ძე კარავაიკოვი, ემელიანე მიტროფანეს-ძე კიშლიანი, პავლე ტიხონის-ძე კლოპოვი, რაისა იაკობის-ასული კორობკო, მიხეილ მარკის-ძე კრუგლიკოვი, სერგი ტერენტის-ძე ლოდისევი, ნიკიტა სტეფანეს-ძე ლუიკინი, აგნია ალექსანდრეს-ასული მარინოვა, ივანე ოსიპის-ძე მატულევიჩი, ვასილ სიმონის-ძე მაშკოვი, ანა ნაზარის-ასული ნაზაროვა, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ნაუმოვი, იონა ტიმოთეს-ძე ნიკიტჩენკო, პავლა მათეს-ასული ნოვინსკაია, ანა მიხეილის-ასული ოვჩინიკოვა, ალექსანდრე მოსეს-ძე ორლოვი, პავლე ექვთიმეს-ძე ორლოვსკი, პანტელეი პეტრეს-ძე პავლენკო, პელაგია სიმონის-ასული პანკრატოვა, ანდრია ანდრიას-ძე პიონტკოვსკი, ვალერი ვიქტორის-ძე პოკროვსკი, კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე პონკრატოვი, ანა ალექსანდრეს-ასული რომანოვა, დორა ლავრენტის-ასული როსტოვცევა, ვლადიმერ მიხეილის-ძე საკაჩი, ანდრია პეტრეს-ძე სოლოდილოვი, ნიკოლოზ ალექსის-ძე სოლონიცინი, აბდიკასიმ სუპატაევი, ანდრია გრიგოლის-ძე სუსლინი, ვლადიმერ ვასილის-ძე სიოლდინი, პეტროს მარკოსის-ძე თეიმურაზიანი, რუდოლფ გუსტავის-ძე ტიმი, ოშაკბაი ტლეგენოვი, ვასილ ვასილის-ძე ულრიხი, ვლადიმერ ალექსის-ძე უსპენსკი, ივანე კუზმას-ძე ცვეტკოვი, ლევან კირილეს-ძე ჩიჩუა, ვალენტინა ალექსის-ასული ჩურსინა, ეკატერინე სერგის-ასული შაბალინა, ნიკოლოზ კირილეს-ძე შევჩენკო, მარიამ ნიკიფორეს-ასული შორინა, გაბრიელ ივანეს-ძე იურგენევი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულები:

ეგორ პროკოფის-ძე აგარკოვი, მარიამ ივანეს-ასული ბარანოვა, ალექსანდრე იოსების-ძე ბატურინი, ოსკარ ჰანსის-ძე ვერო, ალექსანდრე ივანეს-ძე ვიხორევი, ჯორა დურდიევი, ვლადიმერ მიხეილის-ძე ეგოროვი, ივანე ივანეს-ძე ელაგინი, შექერ ერმაგამბეტოვა, ვასილ ვასილის-ძე ეფრემოვი, ალექსანდრე ალექსის-ძე კოზლოვი, არკადი ალექსანდრეს-ძე კოსმოდემიანსკი, ილია იაკობის-ძე კუზმინი, მარიამ ვასილის-ასული ლებედევა, სტეფანე ვასილის-ძე ნეზნანოვი, ივანე კუზმას-ძე ნოვიკოვი, ევა იანის-ასული პალდინ-რუსისი, ალექსანდრე ივანეს-ძე პოკუსაი, მიხეილ ივანეს-ძე პოლიკარპოვი, ივანე ივანეს-ძე პოპოვი, ვილის პეტრეს-ძე სამსონსი, ნელი ივანეს-ასული ხოლმი, ანანი კალისტრატეს-ძე ჩერეპანოვი, ვიაჩესლავ ანდრიას-ძე შკურინი, იაკობ მიტროფანეს-ძე შულგა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 19 მარტი.

კანონი

სსრ კავშირის პროკურორისათვის სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სახელწოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მიენიჭოს სსრ კავშირის პროკურორს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სახელწოდება.

შეტანილ იქნას საჭირო ცვლილება სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 19 მარტი.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის დანიშვნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორად კონსტანტინე პეტრეს-ძე **გორშენინი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 19 მარტი.

კანონი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები სახალხო კომისარიატების შექმნის შესახებ, მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VIII სესიის შემდეგ, და შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებანი და დამატებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 77 და 78 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 77. საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატებს ეკუთვნიან შემდეგი სახალხო კომისარიატები:

საგარეო ვაჭრობისა;
გზათა;
კავშირგაბმულობისა;
საზღვაო ფლოტისა;
სამდინარო ფლოტისა;
დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობისა;
აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობისა;
სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობისა;
აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობისა;
ელექტროსადგურებისა;
ელექტრომრეწველობისა;
შავი მეტალურგიისა;
ფერადი მეტალურგიისა;
ქიმიური მრეწველობისა;
საავიაციო მრეწველობისა;
გემთმშენებელი მრეწველობისა;
სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა;
შეიარაღებისა;
მძიმე მანქანათმშენებლობისა;
საავტომობილო მრეწველობისა;
მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობისა;
დამზადებათა;
მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობისა;
სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობისა;
ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობისა;
რეზინის მრეწველობისა;
დაზგათმშენებლობისა;
სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა;
სათბობის საწარმოთა მშენებლობისა;
სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობისა“.

„მუხლი 78. საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატებს ეკუთვნიან შემდეგი სახალხო კომისარიატები:

შეიარაღებული ძალებისა;
საგარეო საქმეთა;
კვების მრეწველობისა;
თევზის მრეწველობისა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
საფეიქრო მრეწველობისა;
სატყეო მრეწველობისა;
მიწათმოქმედებისა;
მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა;
ფინანსთა;
ვაჭრობისა;
შინაგან საქმეთა;
სახელმწიფო უშიშროებისა;
იუსტიციისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
ტექნიკური კულტურებისა“.

2. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სსრ კავშირის იმ მოქალაქეთათვის საასაკო ცენზის შესახებ, რომლებიც აირჩევიან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში“, შეტანილ იქნას სათანადო დამატება სსრ კავშირის კონსტიტუციის 135 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 135. დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელსაც კი 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დეპუტატების არჩევნებში და არჩეულ იქნას, გარდა შეშლილებისა და იმ პირთა, რომელნიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული არიან საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას სსრ კავშირის ყოველი მოქალაქე, რომელსაც კი 23 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად მისი რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 14 მარტი.

სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შესატანად სარედაქციო კომისიის შექმნის შესახებ

1. სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შესატანად შეიქმნას სარედაქციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე

ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკი—დეპუტატი რსფს რესპუბლიკის სარატოვის ოლქის ვოლსკის საარჩევნო ოლქისაგან.

კომისიის წევრები:

გიორგი თევდორეს-ძე ალექსანდროვი — დეპუტატი რსფს რესპუბლიკის სარატოვის ოლქის ენგელსის საარჩევნო ოლქისაგან.

ივანე ტერენტის-ძე გოლიაკოვი — დეპუტატი რსფს რესპუბლიკის უფის ოლქისაგან.

ალექსანდრე თევდორეს-ძე გორკინი — დეპუტატი ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის კანაშის ოლქისაგან.

კონსტანტინე პეტრეს-ძე გორშენინი — დეპუტატი რსფს რესპუბლიკის ჩრდილოეთი ოლქისაგან.

იუსტას იგნის-ძე პალეცკისი — დეპუტატი ლიტვის სს რესპუბლიკის პანევეჟის ოლქისაგან.

გიორგი ნიკოლოზის-ძე პალცევი — დეპუტატი ვლადიმირის ოლქის ვლადიმირის საარჩევნო ოლქისაგან.

გიორგი ვასილის-ძე პეროვი — დეპუტატი ესტონეთის სს რესპუბლიკის ტალინის საზღვაო ოლქისაგან.

ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე პოსკრებიშევი — დეპუტატი ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის ბელებეის ოლქისაგან.

პეტრე ნიკოლოზის-ძე პოსპელოვი — დეპუტატი რსფს რესპუბლიკის კურსკის ოლქის ობოიანის საარჩევნო ოლქისაგან.

ნიკოლოზ მიხეილის-ძე რიჩკოვი — დეპუტატი მარეთის ასს რესპუბლიკის სერნურის ოლქისაგან.

2. დაევალოს სარედაქციო კომისიას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად შემოიტანოს წინადადებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტის ცვლილებისა და დამატების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 19 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ნ. ა. ვოზნესენსკის საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე და კავშირის საბჭოს სხდომაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვის პროცესში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ შემოტანილი კანონის პროექტს ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამიტომ ნება მიბოძეთ რწმენა გამოვთქვა, რომ უმაღლესი საბჭო, რომელმაც ყოველმხრივ განიხილა წარმოდგენილი პროექტი, ერთსულოვნად მიიღებს კანონს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

იმ წინადადებათა შესახებ, რომლებიც აქ გამოსთქვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთმა დეპუტატებმა სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების მიხედვით კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის გადიდების შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ იმ ახალ მშენებლობათა შეუსწავლელად, რომელთა შესახებ აქ წინადადებას იძლეოდნენ დამატებით შეგვეტანა გეგმაში, და ამ მშენებლობათა მუშა-ხელით, მასალებით, მოწყობილობითა და საამშენებლო ორგანიზაციებით უზრუნველყოფის შესაძლებლობის შეუსწავლელად, ძნელი იქნება ახლავე მივიღოთ გადაწყვეტილება ხუთწლიან გეგმაში ამ მშენებლობათა შეტანის შესახებ.

ამიტომ მე ვფიქრობ, რომ უმაღლესი საბჭო დათანხმდება, რომ დეპუტატების წინადადებანი ხუთწლიან გეგმაში მთელ რიგ ახალ მშენებლობათა შეტანისა და კაპიტალურ დაბანდებათა შემდგომი გადიდების შესახებ განსახილველად გადაეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. ამ წინადადებებს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭო განიხილავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური სახელმწიფო გეგმების დამტკიცებისას, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ცალკე სამინისტროების ხუთწლიანი სამეურნეო გეგმების დამტკიცებისას, რაც გათვალისწინებულია იმ კანონის პროექტით, რომელსაც თქვენ იხილავთ.

გარდა ხუთწლიანი გეგმისა, რომელსაც ვიხილავთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, ჩვენ კიდევ გვექნება სახალხო მეურნეობის განვითარების ყოველწლიური სახელმწიფო გეგმები, რომლებიც ხუთწლიან გეგმას ყოველწლიურად გააფართოებენ. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ თუ სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში კაპიტალური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა ვადაზე ადრე შესრულდება, ხოლო ჩვენ ყველანი ამისკენ მივისწრაფვით, სახალხო მეურნეობის აეთი დარგებისათვის უზრუნველყოფილი იქნება დამატებითი კაპიტალური დაბანდებანი ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიზნით.

ჩვენ ყველანი—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები—ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში მთელ ძალღონეს მოვახმართ იმას, რომ გავაჩაღოთ მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის, ქალაქებისა და სოფლების ყველა საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრება ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. **(ტაში).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ა. წ. 20 მარტს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. **ნ. მ. შვერნიკის** თავმჯდომარეობით შესდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეთა, რომელნიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილენი არიან, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობით.

პრეზიდიუმმა მოისმინა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილის არმიის გენერალ **ნ. ა. ბულგანინის** მოხსენება და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგენით მიიღო ბრძანებულება „სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობის მესამე რიგის დემობილიზაციის შესახებ“. მიღებული ბრძანებულების თანახმად 1946 წლის მაისიდან სექტემბრამდე სახმელეთო ჯარებიდან და სამხედრო-საჰაერო ძალებიდან დემობილიზებულ უნდა იქნას რიგითი და სერჟანტთა შემადგენლობის შემდგომი ექვსი ასაკი. ამ ბრძანებულებით დემობილიზებულებზე ვრცელდება მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფა, რაც გათვალისწინებულია 1945 წლის 23 ივნისის კანონით „მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის უფროსი ასაკების დემობილიზაციის შესახებ“.

პრეზიდიუმის სხდომაზე შემდეგ მოსმენილ იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. **ა. ა. ანდრეევის** მოხსენება სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს ორ სამინისტროდ—სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროდ და სსრ კავშირის მეცხოველეობის სამინისტროდ გაყოფის შესახებ.

პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგენით მიიღო ბრძანებულება „სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს ორ სამინისტროდ — სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროდ და სსრ კავშირის მეცხოველეობის სამინისტროდ გაყოფის შესახებ“. მიღებული ბრძანებულება ითვალისწინებს, რომ ახლად შექმნილ სამინისტროებს გადაეცეს სსრ კავშირის ყოფილი მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობები: მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობები—სსრ კავშირის მიწათმოქმედების სამინისტროს და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები — სსრ კავშირის მეცხოველეობის სამინისტროს.

ბრძანებულებით გათვალისწინებულია მეცხოველეობის სამინისტროების შექმნა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დაავალა წარუდგინოს პრეზიდიუმს კანდიდატურა სსრ კავშირის მეცხოველეობის მინისტრის პოსტზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შეტანილი წინადადება და მიიღო ბრძანებულება „კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის კინემატოგრაფიის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მინისტრად დანიშნა ამხ. **ი. გ. ბოლშაკოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დადგენილება მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები გამოქვეყნდეს მოკავშირე რესპუბლიკების ყველა ენაზე და თათრულ, ბაშკირულ და ყალმუხურ ენებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აგრეთვე განიხილა საკითხები, რომლებიც ეხება პრეზიდიუმის მუშაობის ორგანიზაციას. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობის მესამე რიგის დემობილიზაციის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ჩატარდეს სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების რიგითი და სერჟანტთა შემადგენლობის შემდგომი ექვსი ასაკის მესამე რიგის დემობილიზაცია.

2. პირადი შემადგენლობის დემობილიზაცია ჩატარდეს ამ ბრძანებულების შესაბამისად 1946 წლის მაისიდან—სექტემბრამდე.

3. მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფა, რაც გათვალისწინებულია 1945 წლის 23 ივნისის კანონით „მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის უფროსი ასაკების დემობილიზაციის შესახებ“ გავრცელდეს იმ პირად შემადგენლობაზე, რომლის დემობილიზაცია ხდება ამ ბრძანებულების შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წ. 20 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა

დეპუტატ ვ. მ. ანდრიანოვის სიტყვა

(სვერდლოვსკის სტალინის საარჩევნო ოლქი, სვერდლოვსკის ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! მთავრობის—მინისტრთა საბჭოს წარმოდგენილ შემადგენლობაში არიან ღირსეული და გამოცდილებით შემოწმებული სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებსაც უეჭველად შესწევთ უნარი წარმატებით შეასრულონ მათთვის დაკისრებული ამოცანები.

ძრავალი წლის გამოცდილებით ჩვენი დიდი საბჭოთა ხალხი ღრმად დარწმუნდა და იცის, რომ იქ, აადაც არის ამხანაგი **სტალინი,** გამარჯვება უზრუნველყოფილია! **(მთელი დარბაზის ტაში).** ამხანაგ **სტალინის** სახელი ჩვენი ბრძოლის დროშაა, ჩვენი გამარჯვების სიმბოლოა.

სრულ რწმენას გამოვთქვამ, რომ მთავრობა ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით უზრუნველჰყოფს ახალი ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების შესრულებას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ჩვენი დიადი, მშვენიერი სამშობლოს მშრომელთა მატერიალური დონის ამაღლების დარგში.

ამხანაგო დეპუტატებო! მე ვუერთდები დეპუტატ ხრუშჩოვის წინადადებას და ჩემს მხრივ უზბეკეთისა და ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ურალის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ოლქების დეპუტატთა ჯგუფის დავალებით წინადადება შემომაქვს დამტკიცდეს ამხანაგ სტალინის მიერ წარმოდგენილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის შემადგენლობა. **(მჭუხარე ტაში).**

დეპუტატ ა. ა. კუზნეცოვის სიტყვა

(კრასნოგვარდეისკის საარჩევნო ოლქი, ქ. ლენინგრადი)

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის კონსტიტუციის 48 მუხლის თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, თექვსმეტი მისი მოადგილის, პრეზიდიუმის მდივნისა და პრეზიდიუმის 24 წევრის შემადგენლობით.

ვიდრე შემოვიტანდე წინადადებას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პერსონალური შემადგენლობის შესახებ, სესიის განსახილველად შემომაქვს წინადადება რამდენადმე შემცირებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რიცხობრივი შემადგენლობა. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა რიცხობრივი შემადგენლობის შემცირების საჭიროება გამოწვეულია იმით, რომ პრეზიდიუმის წევრთა დიდი შემადგენლობის არსებობისას, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილებზე მუშაობს, პრეზიდიუმის სხდომების რეგულარული მოწვევა გაძნელებულია. ახლანდელ პირობებში კი განაკუთრებით საჭიროა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უფრო რეგულარულად მუშაობდეს.

გამოვდივარ რა აქედან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად შემომაქვს წინადადება: დაწესდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა რიცხობრივი შემადგენლობა 15 კაცის რაოდენობით ნაცვლად 24 კაცისა, ამასთან დატოვებულ იქნას პრეზიდიუმის თავმჯდომარის 16 მოადგილე მოკავშირე რესპუბლიკათა რიცხვის მიხედვით, როგორც ეს გათვალისწინებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 48 მუხლით. ეს უეჭველად უზრუნველჰყოფს პრეზიდიუმის საკმაო კავშირს ყველა მოკავშირე რესპუბლიკასთან.

ნება მიბოძეთ გამოვაქვეყნო პროექტი კანონისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დაწესდეს, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აირჩევა შემდეგი შემადგენლობით: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მისი 16 მოადგილე, პრეზიდიუმის მდივანი და პრეზიდიუმის 15 წევრი.

შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 48-ე მუხლში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

ეროვნებათა საბჭოში

16 მარტს, საღამოს 18 საათზე, კრემლის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. კუზნეცოვი**, მისი მოადგილეები **პ. ა. ლევიცკი** და **ჩ. ა. ასლანოვი**.

პრეზიდიუმში გამოჩნდებიან ამხანაგები **მ. ი. კალინინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ა. ვოზნესენსკი**. დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან მათ.

დღის წესრიგშია კამათი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენების გამო.

თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. კუზნეცოვი** სიტყვას აძლევს დეპუტატ **ა. ნ. კოსიგინს**, რომელსაც ტაშით ხვდებიან. ამხ. კოსიგინი ამბობს, რომ ხუთწლიანი გეგმით დასახული ძირძე მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის პირველ რიგში განვითარება და ამ საფუძველზე სოფლის მეურნეობისა და მოხმარების საშუალებათა მწარმოებელი მრეწველობის შემდგომი აღმავლობა.

ამხ. კოსიგინი აღნიშნავს, რომ რსფს რესპუბლიკაში მეოთხე ხუთწლედის დამლევს ომამდელ დონესთან შედარებით ერთნახევარჯერ გაიზრდება სამრეწველო წარმოება, 66 პროცენტით გადიდდება თუჯის გამოდნობა, 97 პროცენტით—ქვანახშირის მოპოვება, 85 პროცენტით—ელექტროენერგიის გამომუშავება და სხვა. ომამდელ დონეს მნიშვნელოვნად გადააჭარბებს სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

— მომავალ ხუთწლედში,—ამბობს ამხ. კოსიგინი,—სოფლის მეურნეობაში დასახულია მექანიზაციის დონის მნიშვნელოვანი ამაღლება. მექანიზაციის აღმავლობა ეყრდნობა იმ რეალურ შესაძლებლობებს, რასაც შეიცავს ჩვენი მრეწველობა, რომელმაც, გეგმის თანახმად, ხუთწლედის განმავლობაში სოფლის მეურნეობას უნდა მისცეს სულ მცირე 325 ათასი ტრაქტორი, 170 ათასი კომბაინი და 4,5 მილიარდი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

გეგმა აგრეთვე ითვალისწინებს სასოფლო ჰიდროელექტროსადგურებისათვის წვრილი ჰიდროტურბინების წარმოებას. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ფართოდ გავაჩაღოთ კოლმეურნეობებისა და მტს-ების ელექტროფიკაცია, მთელი რიგი საწარმოო პროცესების ელექტროფიკაცია.

ამხ. კოსიგინი გადადის საბინაო მშენებლობის საკითხებზე და აღნიშნავს, რომ ხუთწლედის მანძილზე მარტო რსფს რესპუბლიკის ქალაქებში საეპისლოტაციოდ უნდა გადაეცეს 44 მილიონამდე კვადრატული მეტრი საბინაო ფართობი, ინდივიდუალური მშენებლობა რომ არ ვიანგარიშოთ. საჭიროა უახლოეს ხანშივე შეუდგეთ სპეციალური სამშენებლო ორგანიზაციების შექმნას ხიდების, გზების, კანალიზაციის, წყალსადენის, რემონტისა და მშენებლობის და ბინების რემონტისათვის.

შემდეგ ამხ. კოსიგინი ამბობს, რომ მკვეთრად უნდა გადიდდეს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის გამოშვება, ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა უნდა გააფართოონ მოსახლეობისათვის საქონლის წარმოება.

ეხება რა ცომბრისა და შორეულ აღმოსავლეთის მდინარეთა აუზებში ახალი დიდი სატყეო მასივების ათვისების საკითხს, ამხ. კოსიგინი აღნიშნავს, რომ საჭიროა ვიწროლიანდაგიანი გზების მშენებლობა და შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და სატყეო მრეწველობის მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების გზათ მურჭნის გამოშვების გადდება.

თავისი სიტყვის დასასრულ ამხ. კოსიგინს წინადადება შეაქვს დამტკიცდეს წარმოდგენილი კანონი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

— მეოთხე სტალინური ხუთწლედის შესრულებას,—ამბობს ამხ. კოსიგინი,—გმირი საბჭოთა ხალხი მთელ თავის ძალებსა და ცოდნას მოახმარს და ენერგიული, შეუპოვარი შრომით არათუ უზრუნველჰყოფს სახალხო მეურნეობის განვითარების დასახული პროგრამის შესრულებას, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულებს მას. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ ზრდას, კულტურისა და შეძლებული ცხოვრების ახალ აყვავებას.

დეპუტატი **ა. აბდურახმანოვი** აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ, რომელიც ხორციელდებოდა ამხანაგ სტალინის შორსმჭვრეტელობის მეოხებით, უზრუნველჰყო ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

— ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი,—ამბობს ამხ. აბდურახმანოვი,—იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა მტკიცე, ურღვევი ლენინურ-სტალინური მეგობრობა.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე უზბეკეთი გადაიქცა ინდუსტრიულ და ამასთან უაღრესად განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე რესპუბლიკად, უდიდეს წარმატებებს მიაღწია კულტურულ მშენებლობაში.

ამხ. აბდურახმანოვი ეხება მეოთხე ხუთწლედის პრობლემებს და დაწვრილებით ლაპარაკობს მებამბეობის განვითარებაზე. უზბეკეთი ჩვენი ქვეყნის მებამბეობის ძირითადი ბაზაა, იგი საბჭოთა კავშირში მოყვანილი ბამბის თითქმის ორ მესამედს იძლევა. ბამბის ნათესების გაფართოება და მისი მოსავლიანობის გადიდება საშუალებას მოგვცემს მეოთხე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ ბამბის მოსავლის ომამდელ დონეს. მებამბეობის განვითარების გეგმის შესრულება დაკავშირებულია მთელი რიგი ახალი საწარმოების შშენებლობასთან, რომლებიც დიდძალ ელექტროენერგიას მოითხოვენ, დაკავშირებულია ჩირჩიკის ელექტროქიმკომბინატისა და სხვა საწარმოთა გაფართოებასთან. ამასთან დაკავშირებით დეპუტატი ამხ. აბდურახმანოვი სთხოვს უმაღლეს საბჭოს სესიას ხუთწლიანი გეგმის საბოლოოდ დამტკიცებისას გაითვალისწინოს სამი ახალი ელექტროსადგურის შშენებლობა და 350 მილიონი მანეთით გაადიდოს კაპიტალდაბანდებათა მოცულობა.

ამხ. აბდურახმანოვი აგრეთვე სთხოვს სესიას 60 მილიონი მანეთით გაადიდოს კაპიტალდაბანდებანი უზბეკეთის ყველაზე მსხვილ სამრეწველო ცენტრებში—ჩირჩიკში, ტაშკენტსა და ანდიჯანში საცხოვრებელი ფართობის გასაფართოებლად.

დეპუტატი **ა. კაზაკპაევი** დეპუტატებისა და სტუმრების მჭახარე ტაშში ყაზახი ხალხის სახელით მხურვალე სალამს გადასცემს მთელი ხალხის პირველ დეპუტატს, საბჭოთა ხალხის ბელადს—დიდ სტალინს.

ამხ. კაზაკპაევს მოჰყავს მკაფიო ციფრები და ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ ყაზახეთის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის სწრაფ ზრდას. სამი სტალინური ხუთწლედის მანძილზე ყაზახეთში შეიქმნა მრეწველობის უდიდესი ცენტრები, თვალუწვდენ ველებში გაყვანილია უდიდესი რკინიგზები. რესპუბლიკაში შექმნილია 363 მტს-ი, 256 დიდი მარცვლეულის, მეცხოველეობისა და სხვა საბჭოთა მეურნეობა. ყაზახეთში ნამდვილი კულტურული რევოლუცია მოხდა: რესპუბლიკაში ამჟამად მუშაობს 7.735 დაწყებითი და საშუალო სკოლა, 85 ტექნიკუმი, 24 უმაღლესი სასწავლებელი, მუშაობს 43 თეატრი, 500-ზე მეტი კინოთეატრი, შექმნილია ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ამხ. კაზაკპაევი მხარს უჭერს სესიის განსახილველად შეტანილ მეოთხე ხუთწლედის გეგმას, რომელიც სავსებით შეესაბამება მთელი საბჭოთა ხალხის საარსებო ინტერესებს, და მეტად საჭიროდ სთვლის ყზილ-ორდის ჯგუფრის მშენებლობის დამთავრებას არა 1950, არამედ 1948 წელს. ამხ. კაზაკპაევი აგრეთვე სთხოვს სესიას გაითვალისწინოს ხუთწლიან გეგმაში ასიგნებანი აღმოსავლეთი ოლქების ძიებების მოსარწყავად, ირტიშის წყლის რესურსების გამოსაყენებლად, შავი და ფერადი მეტალურგიისათვის, ქიმიური მრეწველობისა, მანქანათმშენებლობისა და რკინიგზის ტრანსპორტისათვის სპეციალისტების მოსამზადებლად და სხვა.

დეპუტატი **ზ. ა. შაშკოვი** ლაპარაკობს სამდინარო ტრანსპორტის როლზე სახალხო მეურნეობაში, მისი განვითარების პერსპექტივებსა და ტემპებზე.

ომის წინ მდინარეებზე ტვირთზიდვამ 74 მილიონ ტონას მიაღწია. მაგალითად, 1940 წელს, ხე-ტყის ტვირთების მდინარეებით გადაზიდვის ხვედრითმა წონამ საერთო სარკინიგზო და სამდინარო ტვირთბრუნვის დაახლოებით 40 პროცენტი შეადგინა. ომმა ხელი შეუშალა სანაოსნო გზით ტვირთზიდვის შემდგომ განვითარებას. მტერმა უდიდესი ზიანი მიაყენა სამდინარო ტრანსპორტს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა სამდინარო ტრანსპორტის მუშაკებმა ომის წლებში ზურგისა და ფრონტის უმნიშვნელოვანეს დავალებათა შესრულება უზრუნველყვეს.

ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს სანაოსნო მეურნეობისა და სანაოსნო გზების აღდგენა.

მეოთხე ხუთწლედის გეგმის პროექტით სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1950 წელს 2,7-ჯერ დიდდება 1945 წელთან შედარებით. რკინიგზელთა ენაზე რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს ყოველ დღე-ღამეში 30 ათასამდე ვაგონის დატვირთვას. ხუთწლედის დამლევისათვის სამდინარო ტრანსპორტი იმდენსავე ხეტყეს გადაზიდავს, რამდენიც რკინიგზებს გადაყვავთ. განსაკუთრებით განვითარდება ტვირთზიდვა ისეთი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალებით, როგორიც არის ვოლგა, კამა, დნეპრი, დონი, ობი, ირტიში, ენისეი, ამუ-დარია. უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ექნება შიდასაოლქო და შიდასარაიონო სამდინარო ტვირთზიდვას.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სამდინარო ტრანსპორტის სისტემაში საკუთარი გემთსაშენი ბაზის შექმნა. აშენდება ქარხნები ვოლგაზე, რიბინსკში, კუბიშევში, ზაპოროჟიეში, ომსკში, ბარნაულში და სხვა. ხის გემთა მშენებლობის ახალი მძლავრი ბაზა იქმნება ბელორუსიაში, კამაზე და სევერნაია დვინაზე. 1950 წელს მექანიზებული იქნება მთელ სატვირთო სამუშაოთა სულ მცირე 75 პროცენტი.

შემდეგ გამოდის დეპუტატი **ხ. მ. შარაფეევი**.

— თათრეთის რესპუბლიკა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარების მეოხებით გადაიქცა ცარიზმის ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო ნახევრადკოლონიიდან მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად, — ამბობს იგი. — თათრეთის მსხვილ სამრეწველო საწარმოთა საერთო პროდუქციის მოცულობამ 1942-44 წლებში 2-3-ჯერ გადააჭარბა ერთად აღებული წინა სამი ხუთწლედის პროდუქციის მოცულობას. თათრეთის კოლმეურნეებმა ომის წლებში მოგვცეს 131 მილიონი ფუთი პური, 39 მილიონი ფუთი კარტოფილი და ბოსტნეული, 56 მილიონი ფუთი ხორცი, ბეკონი მატყლი და სხვა.

მეოთხე ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებულია ნავთის უმდიდრესი საბადოს ათვისება თათრეთის ასსრ ეფუროვსკის რაიონში, შორეული ტყეების მასივებში სამუშაოთა მექანიზაცია. მნიშვნელოვნად გაფართოვდება სკოლების, თეატრების, კლუბების, სამკურნალო დაწესებულებების ქსელი, მატულობს ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოება.

დასასრულ დეპუტატ შარაფეევს სესიის განსახილველად შეაქვს ორი წინადადება—ყაზან-ბუგულმის რკინიგზის მშენებლობისა და ქვემო ვიატკის ჰიდროენერგეტიკული კვანძის შექმნის შესახებ.

ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მოკავშირე რესპუბლიკის—საბჭოთა მოლდავეთის — განვითარებაზე ლაპარაკობს დეპუტატი **ნ. გ. კოვალი**.

— საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენს ხალხს მოუტანა არა მარტო პოლიტიკური თავისუფლება, არამედ მატერიალური სიკეთეც, რაც მეურნეობის განვითარებისა და სწრაფი წინსვლის მტკიცე საფუძველი იყო. მაგრამ 1941 წელს ჩვენმა რესპუბლიკამ ერთ-ერთმა პირველმა განიცადა საზიზღარ ფაშისტ დამპყრობთა დარტყმები. მოლდაველმა ხალხმა გმოიარა გერმანული ოკუპაციის ქარცეცხლი და სისხლისღვრა. იგი არასოდეს არ დაივიწყებს, რომ მოლდავეთი თავის განთავისუფლებას უნდა უმადლოდეს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა ძმურ დახმარებას და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის ძმურ დახმარებას. ეს რატომ იყო, რომ საარჩევნო კამპანია მოლდავეთში გადაიქცა საბჭოთა სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი სიყვარულის საყოველთაო-სახალხო დემონსტრაციად.

მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლა სამეურნეო და კულტურული აღორძინების ფართო პერსპექტივებს სახავს საბჭოთა მოლდავეთის წინაშე. საჭიროა მოკლე ვადაში მოვიშუშოთ ომით მოყენებული ჭრილობები და ტექნიკურ-ეკონომიურად და კულტურულად დავეწიოთ საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკებს.

მეოთხე ხუთწლედში მოლდავეთის სს რესპუბლიკა გადაიქცევა ფართოდ განვითარებული მრეწველობის მქონე რესპუბლიკად. მისი მრეწველობა გამოიყენებს ნედლეულის უმდიდრეს ადგილობრივ რესურსებს და თავისი პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს მიაწოდებს ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებს. რესპუბლიკის მეღვინეობა სსრ კავშირში ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიჭერს. დეპუტატი კოვალი სესიას სთხოვს დამატებით შეიტანოს ხუთწლიან გეგმაში ჰიდროელექტროსადგურის აგება დნესტრზე და გაითვალისწინოს ასიგნებანი საბინაო ფონდის აღდგენისა და მშენებლობისათვის, კინშინიოვ-კაგულის ავტომაგისტრალისათვის, რამდენიმე სარკინიგზო სადგურისა, კულტურულ დაწესებულებებისათვის და სხვა.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში უდიდესი და საპატიოა მეცნიერებისა და უმაღლესი სკოლის როლი, საბჭოთა ინტელიგენციის როლი. ამ საკითხს მიუძღვნა თავისი გამოსვლა დეპუტატმა **ს. ვ. კაფტანოვმა**. ორატორმა დაწვრილებით გაამუქა საბჭოთა ინტელიგენციის მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობა ომის წლებში და სთქვა, რომ მეოთხე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების შესრულება სპეციალისტთა ახალი კადრების მოშზადებას მოითხოვს. ჯერ კიდევ ომამდე ჩვენს ქვეყანაში შექმნილი იყო უმაღლეს სასწავლებელთა მძლავრი ქსელი. 1940 წელს გვქონდა 778 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობდა 560 ათასი სტუდენტი—თითქმის 6-ჯერ მეტი, ვიდრე რევოლუციამდელ რუსეთში.

ომის წლებში, მიუხედავად უდიდესი ნგრევისა, რაც მტერმა მოახდინა, კულტურისა და განათლების დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ მუშაობა და ჩვენს ქვეყანას მისცეს უმაღლესი განათლების მქონე 290 ათასზე მეტი და საშუალო განათლების მქონე 375 ათასზე მეტი სპეციალისტი. ამჟამად ჩვენი ქვეყნის 783 უმაღლეს სასწავლებელში 562 ათასი კაცი სწავლობს.

მეოთხე ხუთწლედში, აღნიშნავს ორატორი, უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა კონტინგენტი უნდა ავიყვანოთ 674 ათასამდე და ტექნიკუმების მოსწავლეთა—1.280 ათასამდე, უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა დაპროექტებული გამოშვება ორ მილიონამდე კაცს შეადგენს.

— ჩვენ უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია შევჩერდეთ ჩვენს წინსვლაში,—ამბობს ამხანაგი კაფტანოვი. — ჩვენი ქვეყანა, სოციალიზმის ქვეყანა, მსოფლიოს ყველაზე განათლებული ქვეყანა უნდა იყოს. საბჭოთა კავშირმა ტექნიკის, კულტურის, მეცნიერების დონით მსოფლიოში პირველი ადგილი უნდა დაიკავოს!

— აურაცხელ ბუნებრივ სიმდიდრეს—ქვანახშირსა და ნავთს, ტყვიასა და კალს, ვერცხლისწყალსა და სურმას, დარიშხანსა და გოგირდს, ვოლფრამს, მოლიბდენს, ფერად და იშვიათ ლითონებს შეიცავს ყირგიზეთის წიაღი. მთელი ეს სიმდიდრე,—აღნიშნავს დეპუტატი **ტ. კულატოვი**,—ოქტომბრის რევოლუციამდე გამოუყენებელი იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ გააცოცხლა ყირგიზეთის საწარმოო ძალები. სტალინური ხუთწლედების მანძილზე შეიქმნა ქვანახშირის, სამთამადნო, ლითონდამამუშავებელი, საფეიქრო, შაქრის, კვების, ხორცისა და რძის, მსუბუქი და სხვა დარგები მრეწველობისა, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ, მექანიზაციისა და მოწინავე აგროტექნიკის დანერგვამ უზრუნველჰყო სოფლის მეურნეობის სწრაფი ზრდა, ამასთან დაკავშირებით ყირგიზეთის მშრომელთა კეთილდღეობაც გაიზარდა.

ახალი ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა უზრუნველჰყოფს ყირგიზეთის სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომ განვითარებას.

ხუთწლიანი გეგმით დასახულია მეცხოველეობის განვითარება ყირგიზეთის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილში, რესპუბლიკის ცენტრალური და სამხრეთი ნაწილის უხვი წყალისეული გამოყენების პირობების გაუმჯობესება. აგრეთვე დამთავრდება ყირგიზეთის დიდი ტრაქტის მშენებლობა, რაც ომამდე დაიწყო. ხუთწლედის მანძილზე გათვალისწინებულია ბამბის ნათესების მნიშვნელოვანი გადიდება და მოსავლიანობის ამაღლება. კიდევ უფრო განკითარდება ყირგიზეთის პირველხარისხოვანი კურორტები მათი გოგირდოვანი და რადიაქტიური წყაროებით, მთის სამკურნალო ჰაეთ.

მეოთხე ხუთწლედში კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის სამრეწველო და კულტურულ განვითარებაზე ლაპარაკობს დეპუტატი **პ. ს. პროკონენი**. კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეეძლო ასე მოკლე ვადაში მიეღწია უდიდესი ეკონომიური განვითარებისათვის.

ხუთწლიანი გეგმით დიდი ამოცანებია დასახული კარელია-ფინეთის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე. უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში უნდა მივაღწიოთ ომამდელ დონეს. ხუთი წლის განმავლობაში რესპუბლიკამ სახალხო მეურნეობაში კაპიტალური მშენებლობისათვის უნდა დაბანდოს თითქმის ომდენი სახსრები, რამდენიც დაბანდებული იყო სამი ხუთწლედის მანძილზე. ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს განახლებულ იქნას შეტალურგიის საწარმოთა, დიდ ჰიდროელექტროსადგურთა, ჰიდროლიხესა და გემთმშენებელი მრეწველობის ქარხნების რკინიგზების მშენებლობა, რაც ომმა შესწყვიტა, შეიქმნას ხე-ტყის დამამზადებელი ათობით ახალი საწარმო, მრეწველობის ახალი დარგები—სახლთა მშენებლობა, ფანერის, მუყაოს წარმოება, საფეიქრო წარმოება. წლევანდელ წელთან შედარებით 1950 წელს ხე-ტყის დამზადების მოცულობა ხუთჯერ გაიზრდება.

—სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონპროექტი, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, უდიდესი მნიშვნელობის საპროგრამო დოკუმენტია,—აცხადებს დეპუტატი **ი. ი. ნუტი**.— ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა ესტონეთი უაღრესად აყვავდება. კაპიტალდაბანდებათა მოცულობა გათვალისწინებულია ერთ სულ მოსახლეობაზე 3.500 მანეთის ოდენობით. ფართოვდება ენერგეტიკული მეურნეობა, რადიომიმღებთა წარმოება, პოლიგრაფიული ბაზა.

მეოთხე ხუთწლედის გეგმა სავსებით შეესაბამება ესტონელი ხალხის ინტერესებს. ესტონეთის სს რესპუბლიკის დეპუტატთა სახელით ძმარს ვუჭერ წინა ორატორთა წინადადებას—ძოწონებულ და მოღებულ იქნას კანონი ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ხმას ვაძლევთ რა ამ გეგმის დამტკიცებას, ჩვენ ყველას ნათლად გვაქვს შეგნებული, რომ ეს რეალური გეგმაა, რომ მთელი საბჭოთა ხალხის გაერთიანებული ღონისძიებებითა და ერთსულოვანი მუშაობით იგი მთლიანად და გადაჭარბებით იქნება შესრულებული დასახულ ვადებში.

დეპუტატ ნუტის გამოსვლის შემდეგ **სხდომა** მთავრდება. ცხადდება შესვენება 18 მარტს დილის 11 საათამდე. (საკდესი).

18 მარტს, დილის 11 საათზე, კრემლის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ვ. კუზნეცოვი** და მისი მოადგილეები **პ. ა. ლევიცკი** და **ჩ. ა. ასლანოვი**.

დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ლოჟებში **მ. ი. კალინინს, ნ. მ. შვერნიკისა** და **ნ. ა. ვოზნესენსკის** გამოჩენას.

გრძელდება განხილვა მოხსენებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

თავმჯდომარე ვ. ვ. კუზნეცოვი სიტყვას აძლევს დეპუტატ **ი. ს. ვოშჩეცკის**.

— ლვოვის ოლქის მშრომელები, — ამბობს დეპუტატი გრუშეცკი,— დიდი ენერგიით მუშაობენ. ცდილობენ უაღრესად მოკლე ხანში აღადგინონ გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობა. უკვე გასული წლის დასასრულ ქალაქ ლვოვის მრეწველობის საერთო პროდუქციამ ომამდელი დონის 85 პროცენტი შეადგინა. ოლქის ელეს ხობამ 1945 წელს 130-ზე მეტი ათასი ჰექტარით გაადიდა ნათესი ფართობი წინა წელთან შედარებით, მოიყვანა და აიღო უხვი მოსავალი. ოლქში უკვე მუშაობს 395 სკოლა, 12 უმაღლესი სასწავლებელი, 32 ტექნიკუმი, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთა 11 განყოფილება, 4 სახელმწიფო თეატრი, კონსერვატორია და სხვ.

ლვოვის ოლქის მშრომელთა მთავარი ამოცანაა უახლოეს ხანში დაეწიონ ეკონომიურად და კულტურულად უკრაინისა და მთელი საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ ოლქებს, გადაქციონ ლვოვის ოლქი ეკონომიურად ჩამორჩენილი აგრარული ოლქიდან ინდუსტრიულ და ამასთან დიდად განვითარებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის მქონე ოლქად. სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა უახლოეს ხუთწლედში განსაზღვრულია ერთ მილიარდამდე მანეთით. ისეთი კაპიტალდაბანდებანი ოლქის მეურნეობას არასოდეს არ მოსწრებია!

დეპუტატი გრუშეცკი სთხოვს დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს დახმარება გაუწიოს ლვოვის ოლქს საჭირო მექანიზმების, საბურღავი ჩარხებისა და მურა ქვანახშირის დასამუშავებელი და ამოსაღები ძრავების შეძენაში. იგი აგრეთვე სთხოვს უმაღლესი საბჭოს სესიას ხუთწლიანი გეგმის საპოლოოდ დამტკიცების დროს შეიტანოს მასში ოლქის ტერიტორიაზე ცემენტის ქარხნისა და ველოქარხნის მშენებლობა. ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით დეპუტატ გრუშეცკის საჭიროდ მიაჩნია ლვოვში ლვოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის ბაზაზე დაარსებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

ტრიბუნაზეა დეპუტატი **ა. ბ. ბერდიევი**.

— ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად გატარების შედეგად და დიდი რუსი ხალხის დახმარების მეოხებით თურქმენეთი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან ომისწინა სამი ხუთწლედის განმავლობაში გადაიქცა ფართოდ განვითარებული მრეწველობის და ამასთან მოწინავე მექანიზებული სოფლის მეურნეობის მქონე სოციალისტურ რესპუბლიკად, — აცხადებს იგი. — თურქმენეთის მდიდარი წიაღი უძვირფასესი მადნეულით ამარაგებს ჩვენს ქვეყანას. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებამ გამოიწვია მეცნიერების ყველა დარგის აყვავება. 1941 წელს რესპუბლიკაში დაარსდა მეცნიერებათა აკადემია თურქმენეთის ფილიალი, რომელიც ახლა ავთრთიანებს და წარმართავს 40-მდე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების მუშაობას.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს თურქმენეთის სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ხუთწლედის დასასრულს მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა თითქმის ერთთორად გადიდდება. ბამბის საერთო პროდუქცია ხუთწლედის დასასრულს 1945 წელთან შედარებით 2,3-ჯერ გადიდდება, უმთავრესად საბჭოთა ვრძელბოჭკოიანი ბამბის პლანტაციების გაფართოების გზით. 1950 წელს ომამდელ დონესთან შედარებით 2,3-ჯერ გადიდდება აგრეთვე კრავეულინი ცხვრის სულადობა. დასახულია გრანდიოზული საირიგაციო მშენებლობა. ამჟამად თურქმენეთი იწყებენ 600 კილომეტრი სიგრძის ყარაყუმის არხის მშენებლობას. მდინარე ამუ-დარიის უხვი წყალი მორწყავს უდაბნოს ამჟამად უნაყოფო მიწებს.

დეპუტატი ბერდიევი სესიას სთხოვს გაითვალისწინოს ხუთწლიან გეგმაში ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ თურქმენეთის სარეწებში ნავთის მოპოვების ერთთორად გადიდებას. იგი აგრეთვე სთხოვს სესიას მხედველობაში მიიღოს ყარაბუღაზ-გოლის ყურის სიმდიდრის შემდგომი ათვისების ამოცანა, გამოჰყოს დამატებითი ასიგნებანი ყარაყუმის არხის მშენებლობისათვის და სხვ.

დეპუტატი **მ. ა. მირ-კასიმოვი** — აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი — აღნიშნავს, რომ ახალი ხუთწლედის გეგმაში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას. იგი ახასიათებს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნაყოფიერ საქმიანობას. ეს აკადემია სამამულო ომის წლებში შეიქმნა და მოკლე ხანში რესპუბლიკის მეცნიერული აზრის ცენტრი გახდა.

ბაკოს ნავთი, ბამბა, რკინა, კასპიის თევზეული, სუბტროპიკული კულტურები, აურაცხელი სიმდიდრე, რასაც აზერბაიჯანის მიწის წიაღი შეიცავს, — ასეთია კვლევის ობიექტები, რომლებზეც რესპუბლიკის მეცნიერები მუშაობენ. ამხ. მირ-კასიმოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხუთწლიანი გეგმით დასახული ნავთის მოპოვების გადიდება უნდა ეყრდნობოდეს უახლესი ტექნიკის მიღწევებს. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია აწყობს აგრეთვე აზერბაიჯანის მეცნარეულისა და მეცნარეული რესურსების ფართო შესწავლას იმ მიზნით, რომ გადიდებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

დეპუტატი მირ-კასიმოვი სთხოვს უმაღლეს საბჭოს გაითვალისწინოს ხუთწლიანი გეგმით ქალაქ ბაკოში ნავთის ინსტიტუტის მშენებლობა, გააძლიეროს აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დეპუტატი მირ-კასიმოვი მხურვალედ იწონებს სესიის განსახილველად წარდგენილ ხუთწლიან გეგმას და რწმენას გამოსთქვამს, რომ ეს გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდება, ისევე როგორც წინანდელი სტალინური ხუთწლედების გეგმები.

დეპუტატი **ლ. გ. ოსიპიანი** აღნიშნავს, რომ სომხეთმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე უდიდესი მიღწევები მოიპოვა. სტალინური ხუთწლედების მანძილზე სომხეთში ტექნიკური ხუთწლედების მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დარგები. რესპუბლიკაში ამუშავდა დიდი ქიმიური საწარმოები, გაფართოებული და რეკონსტრუირებულია სპილენძის მრეწველობა. სახალხო მეურნეობაში დიდი ადგილი უჭირავს კვების, შუბუქ და საფეიქრო მრეწველობას. ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე რესპუბლიკაში წარმოიშვა ლითონდამამუშავებელი მრეწველობა.

დეპუტატ ოსიპიანს საჭიროდ მიაჩნია, რომ ხუთწლიანი გეგმით გემეკეესის მძლავრი სადგურის მშენებლობასთან ერთად გათვალისწინებულ იქნას მცირე ჰიდროელექტროსადგურთა აგება განვითარების პროცესში მყოფი მრეწველობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამხ. ოსიპიანი აღნიშნავს, რომ სტალინურ ხუთწლედთა მანძილზე სომხეთის წყალთა მეურნეობაში დაბანდებულ იქნა 165 მილიონამდე მანეთი, რის შედეგადაც რესპუბლიკის ველუხობამ მიიღო 57 ათასამდე ჰექტარი ახალი ნაყოფიერი მიწა. ამან შესაძლებელი გახადა ტექნიკური კულტურების — ბამბის, ვენახის, თამბაქოს ფართობის გადიდება. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია რესპუბლიკამ მეცხოველეობის განვითარებაშიც: ომიანობის წლებში მსხვილფეხა რქოანი საქონლის სულადობა კოლმეურნეობებში 8,8 პროცენტით გადიდდა, ხოლო ცხვრისა და თხის სულადობა — 28,9 პროცენტით.

დასასრულ დეპუტატი ოსიპიანი სესიას სთხოვს გადიდოს ასიგნობანი რესპუბლიკაში კომუნალური და საბინაო მშენებლობისათვის.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ზ. ნ. კეცხოველს**.

— ხუთწლიანი გეგმის პროექტი ითვალისწინებს საქართველო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

კავშირის საბჭოში

18 მარტს, საღამოს 6 საათზე კრემლის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა კავშირის საბჭოს მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ჟდანოვი, მისი მოადგილეები—დეპუტატები ტ. დ. ლისენკო და ნ. დ. უნდასინოვი.

პრეზიდიუმში გამოჩნდნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ნ. მ. შვერნიკი. დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

დღის წესრიგშია განხილვა მოხსენებისა საახალო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

დეპუტატი გ. მ. პოპოვი ლაპარაკობს მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიული რაიონის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. 1950 წელს მნიშვნელოვნად გადიდდება სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. ომამდელ დონესთან შედარებით ყველაზე მეტად განვითარდება მანქანათმშენებლობა და პირველ რიგში ავტომობილების, დაზგების, ორთქლმავლების, ფიზეტების, ელექტროსადგურთა ქვაბების, მეტალურგიული მოწყობილობის, ელექტროტექნიკის წარმოება. მაგალითად, სატვირთო ავტომობილების გამოშვება 1950 წელს 100 ათასს მიაღწევს და 1940 წლის დონეს 75 პროცენტით გადააჭარბებს. გარდა ამისა, გამოშვებულ იქნება 40 ათასი მცირელიტრაჟიანი მანქანა „მოსკვიჩი“ და უმაღლესი კლასის ასობით მსუბუქი მანქანა. დაზგების გამოშვება ერთნახევარჯერ გადიდდება. კიდევ უფრო განვითარდება ოლქის სოფლის მეურნეობა, რაც საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გაფაფართოვოთ და განვამტკიცოთ კარტოფილ-ბოსტნეულისა და მესაქონლეობის ბაზა მოსკოვის გარშემო.

ხუთწლედის განმავლობაში დიდი ყურადღება მიექცევა ადგილობრივი სახის საბობოს — მოსკოვის ქვანახშირისა და ტორფის მოპოვებას, მნიშვნელოვნად გადიდდება გაზის მოხმარება. უკვე 1946 წლის ნახევრიდან მოსკოვი ყოველდღიურად მიიღებს 1,460 ათას კუბმეტრ გაზს, ანუ ხუთჯერ მეტს, ვიდრე ამჟამად ღებულობს. ხუთწლედის დამლევს მოსკოვს ექნება ათჯერ მეტი გაზი, ვიდრე 1940-1945 წლებში, რაც გადაჭრით გაუმჯობესებს მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობებს.

— პარტია, მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი, — აცხადებს ამხ. პოპოვი, — ყოველდღიურად ზრუნავენ მოსკოვის სამეურნეო და კულტურული განვითარებისათვის, დედაქალაქის მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ახალი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 9 მილიარდი მანეთის გამოყოფა კაპიტალური მშენებლობისათვის მოსკოვში, აქედან 5 მილიარდზე მეტი მოხმარდება უშუალოდ მოსკოვის მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ხუთწლედის განმავლობაში მოსკოვში საექსპლუატაციოდ გადაეცემა სამ მილიონამდე კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. გეგმით გათვალისწინებულია მოსკოვში აშენდეს ს